გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ

2010 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე: ბესიკ სისვაძე
განმცხადებელი: შპს „ულევი აგრო" (ს/კ 204496562);
წარმომადგენლები: ვაჟა დვალიშვილი (დირექტორი) და თამარ გაჩეჩილაძე;
მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა.

სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და **გამოარკვია:**

2010 წლის 12 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შპს „ულევი აგროს" დირექტორმა ვაჟა დვალიშვილმა და განმარტა, რომ მოვალე საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს პროდუქტებითა და სხვა სახის საქონლით ვაჭრობა. ქვეყანაში არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია გაყიდვების მკვეთრი შემცირება და კომპანიის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ობიექტების დახურვა, რამაც დიდი ფინანსური დარტყმა მიაყენა მოვალე საწარმოს. განმცხადებელი მიუთითებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 და 36-ე მუხლებზე და ითხოვს გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას.

2010 წლის 14 აპრილის განჩინებით განმცხადებელს მიეთითა განცხადებისათვის დამახასიათებელ ხარვეზთა თაობაზე და განესაზღვრა ვადა მის შესავსებად. 2010 წლის 20 აპრილს შპს „ულევი აგროს" დირექტორმა ვაჟა დვალიშვილმა დადგენილი ვადის დაცვით სასამართლოს მიმართა განცხადებით ხარვეზის შევსების თაობაზე, ხოლო 2010 წლის 21 აპრილს სასამართლოს წარედგინა განცხადება, რომლითაც დაზუსტებული იქნა შპს „ულევი აგროს" აქტივთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სასამართლოს წარედგინა დებიტორთა ნუსხა.

სასამართლო გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ულევი აგროს" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადება აკმაყოფილებს "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ის მიღებული უნდა იქნეს სასამართლოს წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7, მე-19, მე-20, 21-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე, 37-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. მოვალე შპს „ულევი აგროს" (ს/კ 204496562) განცხადება მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში;
2. მეურვედ დაინიშნოს მედეა მენაბდიშვილი – სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიითი №2814), ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით;
3. შპს „ულევი აგროს" აეკრძალოს ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების

შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;

4. აიკრძალოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალებისა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, ყველა სახის (მათ შორის, საგადასახადო/საბაჟო) საურავების დარიცხვა/გადახდა;

5. შეჩერდეს შპს „ულევი აგროს" წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და აიკრძალოს იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება;

6. საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით შპს „ულევი აგრო" უფლებამოსილია, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს თანხმობით, იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები;

7. განემარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან, დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ;

8. განემარტოს შპს „ულევი აგროს" დირექტორს ვაჟა დვალიშვილს, რომ იგი ვალდებულია განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინოს მეურვეს ინფორმაცია მოვალის (შპს „ულევი აგროს") ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის, ასევე განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების შესახებ; მასვე განემარტოს, რომ ამ ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა გამოწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

9. განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი განჩინების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში უფლებამოსილნი არიან წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნები მათი წარმოშობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად. ამასთან, კრედიტორებს მიეთითოთ, რომ მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან ერთად სასამართლოს უნდა წარედგინოს გაკოტრების მმართველის კანდიდატურები და მათთან დადებული ხელშეკრულებები, რომელთა მეშვეობითაც განსაზღვრული იქნება გაკოტრების მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მმართველის საქმიანობის ანაზღაურებისა და მმართველის პასუხისმგებლობის საკითხები. მმართველის კანდიდატურების წარუდგენლობა განიხილება მოთხოვნებზე უარის თქმად და წარმოადგენს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტისა და მოვალე საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების საფუძველს;

10. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2010 წლის 10 ივნისს 10^{00} (ათი) საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6, დარბაზი №22). კრედიტორთა პირველი კრების დღის წესრიგია:

ა) მოვალის ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების, ასევე უზრუნველყოფილი კრედიტორების შესახებ მეურვის მოხსენების განხილვა და ანალიზი;

ბ) კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება და კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრის შედგენა;

გ) გაკოტრების მმართველის დანიშვნა.

11. განჩინების გამოქვეყნება უზრუნველყოს მეურვემ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" არა უგვიანეს 2010 წლის 7 მაისისა, განჩინება გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც;

12. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებულ პირთა მიერ კერძო საჩივარის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანის გზით განჩინების გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე **ბესიკ სისვაძე**